აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(01.09.2013-დან - 01.09.2014-მდე)

2014 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში (01.09.2013-დან - 01.09.2014-მდე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია თავის საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

ზოგადი მიმოხილვა რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივისა, რომლებიც კომისიისა და კომისიის წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში იქნა ინიცირებული

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „საჯარო ინფორმაციის პროქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დატმკიცების შესახებ“. ***(მიღებულია: 20.03.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.03.2014.)***

დადგენილების პროექტის მიღების სამართლებრივი საფუძველი იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 37-ე მუხლების მოთხოვნები, რომელთა შესაბამისად, საჯარო დაწესებულების ვალდებულებაა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მოაწესრიგოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცება.

უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში არსებული, საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესს და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალს. აღნიშნული წესი ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციაზე, რომელიც ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალური მონაცემებისათვის, სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

წესის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, სადაც გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ზუსტი და უტყუარია და პერიოდულად ხდება მისი განახლება დადგენილ ვადებში. მნიშვნელოვანია, რომ პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და უსასყიდლოდ და თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის. ამასთანავე, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან.

წესით განსაზღვრულია უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას ჩამონათვალი.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს აპარატის ადმინისტრაცია, ხოლო ვებგვერდის ადმინისტრირებისათვის პასუხისმგებელ პირს განსაზღვრავს აპარატის უფროსი.

წესით განსაზღვრულია აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ვალდებულება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ გამოქვეყნების მიზნით მოთხოვნილი ინფორმაციის დროული დამუშავება და მიწოდება.

მნიშვნელოვანია, რომ მიღებული დადგენილებით დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პირობებს, რომლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით, სრულიად უსასყიდლოდ.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა ხდება დაინტერესებული პირის მიერ უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე წერილობითი განცხადების წარდგენის გზით, რომლის ფორმაც ასევე განსაზღვრულია პროექტით.

აღნიშნული წესის მიღებით საზოგადოებისათვის უფრო მარტივად ხელმისაწვდომი გახდა უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ***(მიღებულია: 16.05.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 23.05.2014.)***

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის 17 აპრილს შეტანილი ცვლილებით, რომლის ინიციატორიც იყო უმაღლესი საბჭო კანონს დაემატა 12[1] მუხლი „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების მიერ“. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნიან გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, უფლებამოსილება და სქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ურთიერთობა განისაზღვრება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტით და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების განხორციელება მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და ფუნციონირებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას.

უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილია კომისიის წევრების მედეა ვასაძისა და პეტრე ზამბახიძის მიერ მომზადებული საქართველოს კანონის პროექტები:

1. საქართველოს კანონის პროექტი - „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტის მომზადება და პარლამენტში წარდგენა განაპირობა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებულმა ხარვეზმა. კერძოდ, კანონი გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობის კუთხით ითვალისწინებდა მხოლოდ საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი

ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებებს, ხოლო ამ კუთხით ავტონომიურ რესპუბლიკებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს მოქმედი კანონი არ ითვალისწინებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტში წარდგენილი ინიციატივა ითვალისწინებდა, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით რეგლამენტირებული ყოფილიყო არა მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილება, არამედ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებებიც, ანუ საკითხის რეგულირება მომხადარიყო ხელისუფლების სამივე დონეზე - ცენტრალური, ავტონომიური და ადგილობრივი.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა უმოკლეს დროში იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

2. საქართველოს კანონის პროექტი - პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირების მიზეზი იყო „პატიმრობის კოდექსში“ ავტონომიებთან მიმართებაში საჭირო ცალკეული ნორმების არ არსებობა.

ინიციატივის შესაბამისად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმოწერისას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს ცალკეული თანამდებობის პირებისა და ორგანოების სახელზე გაგზავნილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადება, მოთხოვნა და საჩივარი. კანონპროექტით აღნიშნულ ჩამონათვალს ემატება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს წევრები და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა თავმჯდომარეები.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრისათვის პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობას.

პროექტით, დისციპლინური გადაცდომისთვის გათვალისწინებული შეზღუდვა არ გავრცელდება იმ კორესპონდენციაზე, რომლის ადრესატი ან ადრესანტი, სხვა პირებთან/ორგანიზაციებთან ერთად, იქნებიან ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს წევრები და ან ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა თავმჯდომარეები.

აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივაზე საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული განხილვის პროცედურები.

როგორც წამყვანმა კომისიამ, უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად მოამზადა საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სხვადასხვა სუბიექტების მიერ წარმოდგენილი შემდეგი სამართლებრივი აქტის პროექტები, რომლებიც მიღებულია უმაღლესი საბჭოს მიერ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 15 სექტემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ***(ინიციატორი: მედეა ვასაძე. მიღებულია: 19.09.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 24.09.2013.)***

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“. *(ინიციატორი: სულხან ღლონტი. მიღებულია: 19.09.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 24.09.2013.)*

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების პეტრე ზამბახიძისა და ასმათ დიასამიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის „საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ და საქართველოს პარლამენტში წარსადგენი საქართველოს კანონის პროექტის დამატებითი განხილვისათვის კომისიებში დაბრუნების შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 19.09.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 26.09.2013.)*

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“. *(ინიციატორები: პეტრე ზამბახიძე, ეკატერინე თარგამაძე. მიღებულია: 17.10.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 22.10.2013.)*

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების სატყეო ადმინისტრაციებში ხე-ტყის ფონდების გამოყოფის, მათი ათვისების, ტყის დაცვისა და ქარსაფარ ზოლებში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკითხის შემსწავლელი ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ. *(ინიციატორი: პეტრე ზამბახიძე. მიღებულია: 17.10.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 22.10.2013.)*

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: ავთანდილ ბერიძე. მიღებულია: 17.10.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 22.10.2013.)*

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების სატყეო ადმინისტრაციებში ხე-ტყის ფონდების გამოყოფის, მათი ათვისების, ტყის დაცვისა და ქარსაფარ ზოლებში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკითხის შემსწავლელი ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 17.10.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 22.10.2013.)*

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“. *(ინიციატორი: ავთანდილ ბერიძე. მიღებულია: 14.11.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 19.11.2013.)*

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შექმნის, კომისიებში წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 14.11.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 19.11.2013.)

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 14.11.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 19.11.2013.)*

11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“. *(ინიციატორი: მედეა ვასაძე. მიღებულია: 29.11.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 02.12.2013.)*

12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შექმნის, კომისიებში წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 12.12.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.12.2013.)*

13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 12.12.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.12.2013.)*

14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 15 სექტემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: ავთანდილ ბერიძე. მიღებულია: 12.12.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.12.2013.)*

15. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: ავთანდილ ბერიძე. მიღებულია: 12.12.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.12.2013.)*

16. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: ავთანდილ ბერიძე. მიღებულია: 12.12.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.12.2013.)*

17. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: ავთანდილ ბერიძე. მიღებულია: 12.12.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.12.2013.)*

18. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ. *(ინიციატორი: მედეა ვასაძე. მიღებულია: 20.03.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 26.03.2013.)*

19. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ. *(ინიციატორი: თემურ კახიძე. მიღებულია: 20.03.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.03.2013.)*

20. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: ავთანდილ ბერიძე. მიღებულია: 20.03.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.03.2013.)*

21. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“. *(ინიციატორები: მედეა ვასაძე, თემურ კახიძე. მიღებულია: 16.05.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 23.05.2013.)*

22. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“. *(ინიციატორები: მედეა ვასაძე, თემურ კახიძე. მიღებულია: 16.05.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 23.05.2013.)*

საკადრო და პერსონალურ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის მიერ მომზადებული და უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულია შემდეგი დადგენილებები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - ზაზა ხალვაშის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრად – მრჩევლად არჩევის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 17.10.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 22.10.2013.)*

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება – გიორგი ირემაძის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრად – მრჩევლად არჩევის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 17.10.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 22.10.2013.)*

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება – რუსუდან იმედაიშვილის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრად – მრჩევლად არჩევის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 17.10.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 22.10.2013.)*

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება – ოლიკო ჟღენტის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრად – მრჩევლად არჩევის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 05.11.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 14.11.2013.)*

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება – ვახტანგ ღლონტის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრად – მრჩევლად არჩევის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 05.11.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 14.11.2013.)*

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - მედეა ვასაძის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 12.12.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.12.2013.)*

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - თემურ კახიძის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 12.12.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.12.2013.)*

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის - მეურვის კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 24.12.2013. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 31.12.2013.)*

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის - მეურვის კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 06.01.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 10.01.2013.)*

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის - მეურვის კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ. *(ინიციატორი: საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. მიღებულია: 06.04.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 11.04.2013.)*

უმაღლესი საბჭოს მიერ საკადრო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიღებულია ფარული კენჭისყრით. ფარული კენჭისყრის პროცედურების ჩატარებულია კომისიის მიერ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურები.

საბიუჯეტო პროცესი

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულ იქნა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014-2017 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

სხვადასხვა

საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად კომისიის თავმჯდომარე და წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, მათ შორის ამომრჩევლებთან შეხვედრებში.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტიდან შემოსულ 2 კანონპროექტზე კომისიის მიერ შემუშავებული იქნა შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც გადაეგზავნა პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს.

სტატისტიკური მონაცემები საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ

საკანონმდებლო საქმიანობის სტატისტიკა

უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები	მათ შორის კომისიის (წევრების) ინიცირებული (მომზადებული)
42	27

წამყვანი კომისიის რანგში კომისიის მიერ მომზადებული და უმაღლესი საბჭოს სხდომებზე წარდგენილი საკითხების სტატისტიკა

მომზადებული და წარდგენილი საკითხების რაოდენობა
22
10 - საკადრო საკითხებთან დაკავშირებით

კომისიის სხდომების სტატისტიკა

სხდომების რაოდენობა	განხილული საკითხი	მიღებული დასკვნა
23	62	36
შენიშვნა:	საანგარიშო პერიოდში კომისიის მონაწილეობით ჩატარებულია 5 ერთობლივი სხდომა	

კომისიაში შემოსული და კომისიიდან გასული კორესპონდენციის სტატისტიკა

შემოსული კორესპონდენცია	გასული კორესპონდეცია
522	247

კომისიის წევრების მიერ მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

მიღებულ მოქალაქეთა რაოდენობა	
706	
შენიშვნა:	მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა მომზადებულია საქმისწარმოების განყოფილების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით